

**„მწვანე ალტერნატივას“ და „სტეფანწმიდას“ შენიშვნები
დარიალის ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიშსა
(წინასწარი ვერსია) და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმაზე**

15 სექტემბერი, 2011 წ.

პროექტის შესახებ

პროექტი ითვალისწინებს მდ. თერგის ხეობაში, ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, საქართველო-რუსეთის საზღვართან ახლოს, 110 მეგავატი დადგმული სიმძლავის დერივაციული ტიპის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას. დარიალი ჰესი ენერგოსისტემას მიუერთდება დარიალის 110 კვ-იანი ხაზით, რომელიც აერთებს საქართველოსა და რუსეთის ენერგოსისტემებს. პროექტის დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის თანახმად, გამომუშავებული ელექტროენერჯის ნაწილი მოეწოდება საქართველოს ენერგოსისტემას შიდა მოხმარებისთვის, ნაწილი კი, გავა უცხოურ ბაზარზე.

პროექტს ახორციელებს კომპანია „დარიალი ენერჯი“. პროექტის დოკუმენტების თანახმად, პროექტის დაფინანსების საკითხი, ჯერჯერობით გადაწყვეტილი არ არის, თუმცა ცნობილია, რომ პროექტი, ნაწილობრივ მაინც, დაფინანსდება ერთ-ერთი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტის მიერ.

1. პროექტის აღწერა და მიზანშეწონილობის დასაბუთება

ჩვენი აზრით, სკოპინგის ანგარიშის წინასწარი ვერსიის მე-2 თავში წარმოდგენილი პროექტის დასაბუთება აბსოლუტურად არასრულფასოვანია და ის არ დასაბუთებს კონკრეტულად წარმოდგენილი პროექტის საჭიროებას (მაგალითისთვის, ის თითქმის სიტყვა-სიტყვით იმეორებს ანგარიშის ავტორის „გამა კონსალტინგის“ მიერ სხვა დამკვეთისთვის - შპს „აჭარა ენერჯი 2007“-სთვის მომზადებულ მდ.ჭოროხზე ჰიდროელექტროსადგურების კასკადის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის ბგფშ ანგარიშის შესავალ ნაწილში წარმოდგენილ დასაბუთებას). მაშინ როდესაც, არ არის ნათელი, რა წვლილს შეიტანს დაგეგმილი დარიალის ჰესი ყაზბეგის რაიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში (ამ მიმართულებით პროექტი რაიმე სახის ვალდებულებებს არ ითვალისწინებს) და ამასთანავე, ამ ჰეს-ში ინვესტირება შეამცირებს მცირე და ალტერნატიულ ენერგეტიკაში ინვესტირების შანსს, ვფიქრობთ, პროექტის განმახორციელებელმა უფრო მეტი არგუმენტი უნდა მოიყვანოს პროექტის სარგებლიანობაში ფართო საზოგადოების, ადგილობრივი მოსახლეობისა და გადაწყვეტილების მიმღებ პირთა დასარწმუნებლად.

გარდა ამისა, წარმოდგენილი ანგარიშის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაკლოვანებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ პროექტის აღწერისადმი მიძღვნილ თავში (ისევე როგორც მთელს ანგარიშში) არაფერია ნათქვამი, თუ რა რაოდენობის წყალი დარჩება მდინარეში იმ მონაკვეთზე, სადაც წყალი მოექცევა ჯერ 17000 მ სიგრძის სადერივაციო არხსა და შემდგომ 5400-5800 მეტრის სიგრძის სადერივაციო გვირაბში. ამ გარემოების იგნორირება ნიშნავს ბუნებრივი და სოციალურ გარემოზე პროექტის იმ ზეგავლენების იგნორირებასაც, რასაც ასეთი ღონისძიების გატარება გამოიწვევს.

2. გარემოს ფონური მდგომარეობის აღწერა

მცენარეულ საფარსა და ცხოველთა სამყაროზე შესაძლო ზეგავლენებზე საუბარი მხოლოდ ვიზუალური დაკვირვების საფუძველზე, ვფიქრობთ, არასაკმარისია. დაბა სტეფანწმიდაში რამოდენიმე ათეული წელია მოქმედებს ალპური ეკოლოგიის ინსტიტუტი, რომელსაც ჩატარებული აქვს უამრავი კვლევა ყაზბეგის რაიონის ფლორის შესასწავლად. ინსტიტუტის მონაცემების გაცნობა / გამოყენება და თავად ინსტიტუტთან, როგორც დაინტერესებულ მხარესთან კონსულტაცია, მხოლოდ და მხოლოდ დაეხმარება პროექტს ზეგავლენების იდენტიფიცირებაში.

3. ალტერნატივები

სკოპინგის ანგარიშის წინასწარი ვერსიის მე-4 თავში, „უმოქმედობის“ ალტერნატივასთან ერთად, განხილულია ორი ტიპის ჰესის ალტერნატივები, კერძოდ, რეგულირებადი ტიპის ჰესი და ერთსაფეხურიანი დერივაციული ტიპის ჰესი. ალტერნატივებს შორის არ არის განხილული კალაპოტური ტიპის ჰესი, რომელიც გარემოსდაცვითი თვალსაზრისით ერთ-ერთ მისაღებ ალტერნატივად ითვლება.

4. ზემოქმედება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე

ცხრილში 5.1, სადაც შეჯამებულია პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე შესაძლო ზემოქმედების სახეები არ არის ასახული პროექტის მოსამზადებელი ეტაპის ზეგავლენები, მაშინ როდესაც თანმდევი ცხრილი 5.2 ასახავს ამ ეტაპის მნიშვნელოვან ზეგავლენებსაც. ანალოგიურად, მე-5 თავში, ტექსტურ ნაწილში ზეგავლენების აღწერა იწყება მშენებლობის ეტაპის ზეგავლენებით და არ არის აღწერილი მოსამზადებელი ეტაპის მნიშვნელოვანი ზემოქმედებები ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე.

ამასთან, ზემოთ ხსენებულ ცხრილში 5.1 დადებითადაა შეფასებული მშენებლობის ეტაპზე პროექტის ზეგავლენა ინფრასტრუქტურასა და სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე. გაუგებარია, რას ეყრდნობა ასეთი შეფასება, მაშინ როდესაც არაფერია ნათქვამი კონკრეტულად რა გარემოებებმა შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი დადებითი ეფექტი. პრაქტიკა ცხადყოფს, რომ მსხვილმასშტაბიანი პროექტების განხორციელებისას განსაკუთრებით ხშირია ადგილობრივი ინფრასტრუქტურისთვის (გზები, წყალმომარაგებისა და სარწყავი სისტემები) ზიანის მიყენების შემთხვევები. ანალოგიურად, როგორც წესი, გადამეტებულად ფასდება ადგილობრივი მოსახლეობისა და ეკონომიკისთვის მოტანილი სარგებელი და რეალურად, დადებითი ეფექტი ძალზე მცირე და/ან ხანმოკლეა. ამდენად, ინფრასტრუქტურასა და სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე ზეგავლენის დადებითად შეფასებისას აუცილებელია განიმარტოს ზემოქმედების წყაროებიც (ზუსტად ისე, როგორც უარყოფითი ზემოქმედებების გამოვლენისას).

ქვეთავებში 5.1.1 (ემისიები), 5.1.2 (ხმაური და ვიბრაცია) და 5.2.1 (ხელშემშლელი/შემაწუხებელი ზემოქმედება), ვფიქრობთ, არასათანადოდაა დადგენილი ზეგავლენის მასშტაბები; კერძოდ, შეფასება შემოიფარგლება საპროექტო ტერიტორიითა და დაბა სტეფანწმინდით, მაშინ როდესაც მოსამზადებელ ეტაპზეც და მშენებლობის ეტაპზეც „სატრანსპორტო ოპერაციების შესრულებისას“ მნიშვნელოვან ზეგავლენას ექნება ადგილი სულ მცირე სამხედრო გზის გასწვრივ მდებარე დასახლებებზე, განსაკუთრებით იმ მონაკვეთებზე, სადაც სახლები განლაგებულია უშუალოდ გზის პირას.

5.1.2 ქვეთავში ასევე ზეგავლენის წყაროდ არ არის დასახლებული ბურღვითი და აფეთქებითი სამუშაოები. ასეთი სამუშაოების ჩატარება, სავარაუდოდ, აუცილებელი იქნება სადერივაციო გვირაბის გაყვანისას. ამ სამუშაოების წარმოებისას კი, ლოგიკურია, რომ ზეგავლენის მასშტაბი ვერ შემოიფარგლება დაბა სტეფანწმინდით, როგორც ეს ანგარიშშია აღნიშნული. ასეთი სამუშაოების უშუალო ზეგავლენის ქვეშ მოექცევიან, უპირველეს ყოვლისა, მაგალითად, საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს განლაგებული საბაჟო-გამშვები პუნქტი, სამონასტრო კომპლექსი, სოფელი გველეთი.

5.1.6 ქვეთავში აღნიშნულია, რომ გამონამუშევარი ქანების საბოლოო განთავსებისთვის მოძიებული იქნება მუდმივი დასაწყობების ადგილები. ნარჩენების განთავსების ასეთი პრაქტიკა მიუღებელია და თავიდან უნდა იქნეს აცილებული; ჩვენი აზრით, მაქსიმალურად უნდა იქნეს შესწავლილი და გამოვლენილი გამონამუშევარი ქანების, უპირველეს ყოვლისა, თავად პროექტის საჭიროებისთვის, ასევე უახლოეს რაიონებში საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციისთვის, ნაპირსამაგრი სამუშაოებისთვის და სხვა მიზნებისთვის გამოყენების შესაძლებლობები.

5.2.3 ქვეთავში აღნიშნულია, რომ „დაქირავებულების უმრავლესობა ადგილობრივი იქნება“ - გაუგებარია, ეს ფრაზა ეხება მთელ პროექტს, მხოლოდ მშენებლობის ეტაპს, თუ „მშენებლობის პირველ ფაზას“ (რომელიც ასევე გაუგებარია რა სახის სამუშაოებს მოიცავს). დასაზუსტებელია ასევე, კონკრეტულად რა რაოდენობა იგულისხმება უმრავლესობაში (მაგალითად, 50%-ზე ან 70%-ზე მეტი) და როგორ, რა მექანიზმებით, იქნება შესაძლებელი პროექტის განმახორციელებლის მიერ ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში აღნიშნული ამ ვალდებულების შემოწმება.

აქვე დასასაბუთებელია სამშენებლო ბანაკის მშენებლობის საჭიროება; ჩვენი აზრით, ანგარიშში ამ ღონისძიების ალტერნატივად განხილულ უნდა იქნეს ადგილობრივი მოსახლეობისგან სახლების/ოთახების ქირავნობის შესაძლებლობები და შედარდეს ამ ორი შესაძლებლობის (სამშენებლო ბანაკი და ქირავნობა) დადებითი და უარყოფითი ზეგავლენები ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე.

5.3.2 ქვეთავი არასრულფასოვნად ასახავს მიდგომას კუმულატიური ზემოქმედებისადმი. აქ რატომღაც განხილულია მხოლოდ და მხოლოდ კუმულატიური ზემოქმედების ალბათობა სხვა ობიექტების მშენებლობისას და გამორიცხულია კუმულატიური ზემოქმედებები თავად დაგეგმილი ჰესისა და სხვა ობიექტების ოპერირებისას. არ არის განხილული დაგეგმილი პროექტის ის ზემოქმედებები, რომლებიც შეიძლება კუმულატიურად დაემატოს სხვა წყაროების, მაგალითად, ყაზბეგი-ჰესის, დაგეგმილი 20 მგტ სიმძლავრის ლარსის ჰესის (მიმდინარეობს გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესი), ჩრდილოეთ ოსეთში ოპერირებადი ჰესისა თუ დაგეგმილი ჰესების ზემოქმედებებს. აქვე, საერთოდ იგნორირებულია სინერგეტიკული ზემოქმედებები.

5.3.3-ში, ისევე როგორც 5.6.3 ქვეთავში აღნიშნულია, რომ პროექტს ექნება ტრანსსასაზღვრო ზეგავლენა. ამასთან, შესავალ ნაწილში აღნიშნულია, რომ სკოპინგის ანგარიში მომზადდა „... *ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის... პოლიტიკის მოთხოვნების გათვალისწინებით*“. თუ ეს მართლაც ასეა, ტრანსსასაზღვრო ზეგავლენების შემთხვევაში, ბანკის პოლიტიკა ითვალისწინებს ტრანსსასაზღვრო გზმ-ს პროცედურების წარმოებას; ამდენად, პროექტის განმახორციელებელმა დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს ამ პროცედურების შესრულება.

5. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესის სამუშაო გეგმა და გრაფიკი

6.1 ქვეთავის დასასრულს წარმოდგენილია ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში მოსამზადებელი გარემოსდაცვითი დოკუმენტების სახეები. ჩვენი აზრით, აუცილებელია, რომ „გარემოსდაცვითი და სოციალური მონიტორინგის გეგმა“, ისევე როგორც „ნარჩენების მართვის გეგმა“ მომზადდეს არამარტო ჰეს-ის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ფაზებისთვის, არამედ მოსამზადებელი ფაზისთვისაც. გარდა ამისა, აუცილებლად მიგვაჩნია ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში მომზადდეს ტრანსპორტის მართვის გეგმაც და ამ გეგმამაც, სხვა ფაზებს შორის, მოიცვას პროექტის მოსამზადებელი ფაზა.

6. პროექტთან დაკავშირებული სოციალური საკითხები

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის მე-2 თავში აღნიშნულია, რომ „*ჰესის ინფრასტრუქტურის ძირითადი ნაწილი განლაგდება სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიებზე, აქედან გამომდინარე განსახლების რისკი მინიმალურია*“. გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს მთიან რეგიონებში მკვიდრ მოსახლეობას ხშირად არ აქვს კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებული საკუთრების უფლება მიწაზე, თუმცა ისინი საუკუნეების მანძილზე ფლობენ, განკარგავენ და სარგებლობენ ამ მიწებით. ამდენად მნიშვნელოვანია, რომ პროექტმა საფუძვლიანად გამოიკვლიოს ტრადიციულ საკუთრებაში

არსებული მიწები¹ (მათ შორის, სათიბები, საძოვრები), ხოლო ტრადიციულმა მესაკუთრებმა მიიღონ ისეთივე კომპენსაცია მიყენებულ ზიანზე, როგორსაც საკუთრების უფლების ლეგალურად რეგისტრირების შემთხვევაში მიიღებდნენ. ასეთი მიდგომა ასევე დააკმაყოფილებდა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მოთხოვნებს, რომელთა მოზიდვასაც ცდილობს პროექტი.

7. ინფორმირება და კონსულტაციები

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის მე-4 თავში ფრიად დეტალურადაა მიმოხილული დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის უზრუნველყოფისთვის დადგენილი საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო მოთხოვნები, თუმცა მე-5 თავში, ვფიქრობთ, არაადექვატურადაა განსაზღვრული პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოქცეული მოსახლეობის ინფორმირებისა და კონსულტირების საშუალებები. კერძოდ, ხშირ შემთხვევაში, ეს საშუალებები უფრო ადექვატური იქნებოდა გეგმის მე-12 თავში გამოვლენილი დაინტერესებული მხარეების ინფორმირებისა და კონსულტირებისთვის, ვიდრე პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოქცეული მოსახლეობისთვის.

მაგალითად, მე-5 თავში აღნიშნულია, რომ „*პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი მოსახლეობის ინფორმირებისთვის გამოყენებული იქნება საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ვებ-გვერდი. ინფორმაციის განახლება მოხდება რეგულარულად*“. პროექტის განმახორციელებლისთვის, ისევე როგორც ბსგზმ ანგარიშის ავტორებისთვის ცნობილი უნდა იყოს, რომ ყაზბეგის რაიონში მცხოვრები მოსახლეობის უდიდესი ნაწილისთვის ინტერნეტი არ არის ხელმისაწვდომი (როგორც ფიზიკურად, ისე ფინანსურად) და ამდენად, ასეთი საშუალებით გავრცელებული ინფორმაცია მათთვის ხელმისაწვდომი ვერ იქნება. სამინისტროს ვებ-გვერდით ინფორმაციის გავრცელება ადექვატური იქნებოდა სწორედ დაინტერესებული მხარეების ინფორმირებისთვის, მაშინ როდესაც „საჭიროების შემთხვევაში“ გამოსაყენებელი საკომუნიკაციო საშუალებები (მე-5 თავი, გვ.17) უნდა იქნეს უპირველეს ყოვლისა გამოყენებული პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოქცეული მოსახლეობის ინფორმირებისთვის. გასათვალისწინებელია ასევე, რომ ადგილობრივი მოსახლეობის დიდ ნაწილს არ გააჩნია ცენტრალური და ადგილობრივი გაზეთების შექმნის საშუალება, ამდენად, უპრიანი იქნება პროექტის განმახორციელებელმა აქტიურად გამოიყენოს ინფორმირების სხვა უფრო ეფექტური საშუალებები.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მნიშვნელოვანია ასევე შემდეგი საკითხები:

მე-5 თავში აღნიშნულია, რომ „*საჯარო პაკეტში შევა მოცემული SEP-ი, სკოპინგის ანგარიში (კონსულტაციების პირველ ეტაპზე), სრული ბსგზმ-ის ანგარიში, გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა და არატექნიკური რეზიუმე*“. ჩვენი აზრით, აუცილებელია, რომ საჯარო პაკეტი მოიცავდეს ასევე პროექტის განსახლების გეგმას.

ამავე თავში აღნიშნულია, რომ „*გასაჩივრების მექანიზმი პროექტის ყველა ეტაპზე იმუშავებს*“. ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანია აქვე დაზუსტდეს, იმუშავებს თუ არა გასაჩივრების მექანიზმი მოსამზადებელ ეტაპზეც.

5.1 ქვეთავში აღნიშნულია, რომ ბსგზმ-ის ანგარიშის სრული ვერსიის, არატექნიკური რეზიუმეს, გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმისა და დაინტერესებული მხარეთა ჩართულობის გეგმის უფასო ნაბეჭდი ეგზემპლარები საზოგადოების წარმომადგენლებს შეეძლებათ მიიღონ თბილისში, კომპანია „დარიალ ენერჯი“-სა და სამეცნიერო-კვლევითი ფირმა „გამა“-ს ოფისებში. მნიშვნელოვანია, რომ ეს დოკუმენტები (ისევე როგორც განსახლების გეგმა) ნაბეჭდი სახით, უპირველეს ყოვლისა, ხელმისაწვდომი იყოს პროექტის ზეგავლენის ქვეშ

¹ ტრადიციული საკუთრება მიწაზე - ტრადიციული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემის საფუძველზე ისტორიულად ჩამოყალიბებული მიწასთან დაკავშირებული საკუთრებითი უფლებები, რომლებიც განისაზღვრება მკვიდრი მოსახლეობის ადათ-წესებით.

მოქცეული მოსახლეობისთვის (5.2 თავში ეს დოკუმენტები არ არის მოხსენიებული). ამისათვის კი, დოკუმენტები უნდა განთავსდეს არა თბილისში, არამედ სტეფანწმინდასა და სხვა დასახლებებში, მოსახლეობისთვის ადვილად ხელმისაწვდომ ადგილებში.

გეგმის მე-6 თავში აღნიშნულია, რომ დაინტერესებულ მხარეთა განსაზღვრისას გათვალისწინებული იყო როგორც პროექტის, ისე „მისი სატრანსპორტო დერეფნების ზეგავლენის გეოგრაფიული არეალი“, თუმცა არც გეგმაში და არც სკოპინგის ანგარიშის წინასწარ ვერსიაში არ არის აღწერილი კონკრეტულად რა ტერიტორიებს მოიცავს სატრანსპორტო დერეფნები. ეს კი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია როგორც ბუნებრივ, ისე სოციალურ გარემოზე ზეგავლენების სრულფასოვნად გამოსავლენად.

დასასრულს, გვსურს, ყურადღება გავამახვილოთ კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორცაა 9.2 ქვეთავში განხილული საჩივრების მიღების მეთოდები. საჩივრების მიღების წარმოდგენილი ფორმები, ჩვენი აზრით, არ არის ადექვატური და ეფექტური: ვებ-გვერდი - ზემოთ უკვე ახსნილი მიზეზების გამო, კომპანიის ოფისი თბილისში - ასევე ფიზიკური ხელმიუწვდომლობის გამო. სატელეფონო „ცხელი ხაზი“ ეფექტური საშუალება იქნება იმ შემთხვევაში, თუ ის იქნება უფასო და მუდმივმოქმედი (პრაქტიკაში, ხშირად, სამწუხაროდ, „ცხელი ხაზი“ ან მითითებული საკონტაქტო ტელეფონის ნომრები არაფუნქციონირებდა). ჩვენი აზრით, ყველაზე მისაღები და ადექვატური ფორმა იქნებოდა საჩივრების ყუთების განთავსება კომპანიის ოფისში, სტეფანწმინდაში (თუ ასეთი იარსებებს, რა თქმა უნდა) და/ან ადგილობრივი გამგეობის შენობასა და მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომ სხვა ადგილებში. ეს, რა თქმა უნდა, არ უნდა გამორიცხავდეს და პირიქით, ავსებდეს მოსახლეობასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი პირისთვის საჩივრის ჩაბარების შესაძლებლობას. აქვე დავამატებთ, რომ სასურველია, 9.2 თავის ტექსტურ ნაწილში, ისევე როგორ ეს მოცემულია ნახაზში 9.2.1, აღინიშნოს, რომ საჩივარი შეიძლება იყოს ვერბალურიც.